საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მაყაშვილი მალხაზ ალექსანდრეს ძე

მ. ა. მაყაშვილი

მაყაშვილი მალხაზ ალექსანდრეს ძე (დ. 13. IX. 1953, თბილისი), ბიოლოგი, ფიზიოლოგი. ბიოლოგიის მეცნ. დოქტორი (1998). საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი შრომათა ციკლისათვის „თავის ტვინის ფუნქციური სიმეტრია და ასიმეტრია“ (1991).

დაამთავრა თსუ-ის ბიოლოგიის ფაკ-ტი ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის სპეციალობით (1975). იყო საქართვ. მეცნ. აკად. ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინ-ტის ჰემისფეროთა ურთიერთობის შემსწავლელი ლაბორ. უმცროსი (1978–80), უფროსი (1980–2003), წამყვანი (2004–06) მეცნიერი თანამშრომელი, ამავე ლაბორატორიის ხელმძღვანელი (1999–2006). 2006-იდან არის ილიას სახელმწ. უნ-ტის მიწვეული პროფესორი, აგრეთვე ფსიქო-ფიზიოლოგიური კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი (2018).

თხზ.: შესავალი ქცევის მექანიზმებში. ფსიქოლოგიის სპეციალობის სტუდენტებისათვის, თბ., 2015; თავის ტვინის ფუნქციური სისტემები, თბ., 2018; Ассиметрия мозга человека, Тб., 1997.